# ჩოხატაურის

# მუნიციპალიტეტის

# საშუალოვადიანი

# განვითარების დოკუმენტი

# (2020 - 2023)

2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)” და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)” ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

# სარჩევი


წინასიტყვაობა ........................................................................................................................1

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები...................................................................2

2. სიტუაციის ანალიზი ...............................................................................................................6

2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა ...........................................6

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....................................................................................................7

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა ......................................................................................10

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა ...................................................................................12

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი .............................................................................................14

2.6 გარემოს დაცვა .............................................................................................................................14

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა ...............................................................................15

3. SWOT ანალიზი .......................................................................................................................17

4. განხორციელების მექანიზმი.....................................................................................................19

5. მონიტორინგი და შეფასება .......................................................................................................32

დანართი ......................................................................................................................................34

# წინასიტყვაობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს ჩოხატაურის საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ ხედვას, მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

# 1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

**მუნიციპალიტეტის ხედვა**

ცხოვრებისათვის ჯანმრთელი გარემოა შექმნილი, ეროვნული და ადგილობრივი ტრადიციებითა და მოწესრიგებული შიდა და საკურორტო ინფრასტრუქტურით, სადაც განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მრეწველობა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება ხდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

**მიზნები და ამოცანები**

მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას დასახული აქვს განვითარების შემდეგი მიზნები და ამოცანები:

<table>
<tr><th>მიზანი 1.</th><th colspan="2">მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად ათვისების ხელშეწყობა</th></tr>
<tr><td>ამოცანა 1.1</td><td colspan="2">დაბა ბახმაროს, როგორც საკურორტო რეკრიაციული ზონის, კერძო სექტორის შესაძლებლობებისა და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა;</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.2</td><td colspan="2">გორაბერეჟოულის დენდროლოგიური ტყე-პარკის ტურისტული პოტენციალის ათვისება;</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.3</td><td colspan="2">ტურისტული-დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.4</td><td colspan="2">ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი გამოყენების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.5</td><td colspan="2">მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების - აღკვეთილის, ნაკრძალის, შექმნის ხელშეწყობა უკვე შექმნილი პონტოს მუხის აღკვეთილის მსგავსად.</td></tr>
<tr><td></td><td>შედეგი 1.</td><td>• მუნიციპალიტეტში სავარაუდოდ ტურისტების რაოდენობა გაიზრდება 30-50%-ით;<br>• გაიზრდება მუნიციპალიტეტის შემოსავლები;<br>• გაუმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა და ჰიგიენურ სანიტარული პირობები;<br>• შექმნილი მიმზიდველი გარემო გამოიწვევს ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხვის ზრდას რაც ადგილობრივ ეკონომიკაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს;<br>• გაიზრდება მუნიციპალიტეტის ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უცხოელი ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის.</td></tr>
<tr><th>მიზანი 2.</th><th colspan="2">სოფლის მეურნეობის განვითარება, ადგილობრივი ბიზნესისა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება</th></tr>
<tr><td>ამოცანა 2.1</td><td colspan="2">სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა,</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება; | |
| ამოცანა 2.2 | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის საგზაო, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის გამართვა; | |
| ამოცანა 2.3 | მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა; | |
| ამოცანა 2.4 | სოფლის მეურნეობის კუთხით მოსახლეობის უნარების და კვალიფიკაციის ზრდის სისტემატური ხელშეწყობა; | |
| ამოცანა 2.5 | დაბის ცენტრის განვითარების კონცეფციის და გეგმა პროექტის შემუშავება; | |
| ამოცანა 2.6 | სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკისა და ინვენტარის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; | |
| ამოცანა 2.7 | წყალმომარაგებიასა და საირიგაციო სისტემების მოწესრიგება; | |
| ამოცანა 2.8 | სასათბურე და სანერგე მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა; | |
| | შედეგი 2. | • განვითარებული ბიზნესი მუნიციპალიტეტში;<br>• მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება;<br>• მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი დაფინანსებული პროექტები;<br>• მუნიციპალიტეტში და დაბა ბახმაროში გაზრდილი კერძო სექტორის შესაძლებლობები და ტურისტული მიმზიდველობა;<br>• სოფლებში მოწესრიგებული შიდა გზების მაჩვენებელი გაიზრდება 40%-ით;<br>• წყალმომარაგებაზე ხელმისაწვდომობა გაეზარდა მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს.<br>• გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა;<br>• შემუშავებულია და ხორციელდება დაბის ცენტრის განვითარების გეგმა პროექტი |
| **მიზანი 3.** | **მუნციპალიტეტის კულტურულ-შემოქმედებითი ცნობადობის გაზრდა** | |
| ამოცანა 3.1 | მოსახლეობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; | |
| ამოცანა 3.2 | მუნიციპალიტეტის კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება-გამოყენების ხელშეწყობის მიზნით გამოფენებისა და ფესტივალების მოწყობა, ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ; | |
| ამოცანა 3.3 | ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტიის წარმოების პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება; | |
| ამოცანა 3.4 | წარმოების ტრადიციული მეთოდებით ხალხური რეწვის ოსტატთა წახალისება; | |
| | შედეგი 3. | • ადგილობრივ კულტურა მეტად ცნობადია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის;<br>• ახლაგაზრდების ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში გაზრდილია 50%-ით; |

| | | |
|---|---|---|
| | | • შენარჩუნებულია გურული ტრადიციული კულტურის ელემენტები;<br>• ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო გურული ტრადიციული კულტურის ჩვენება ტურისტებისთვის, რაც მათთვის დამატებითი შემოსავლის მომტანია;<br>• გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და რეწვის ნამუშევრების შექმნაში. |
| **მიზანი 4.** | **სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და განათლების დარგის განვითარება** | |
| ამოცანა 4.1 | სოციალური პროექტების განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; | |
| ამოცანა 4.2 | პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის ზრდა; | |
| ამოცანა 4.3 | პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებების გატარება ახალგაზრდებში (სკოლებში საინფორმაციო და საჩვენებელი გაკვეთილები; გასვლითი ღონისძიებები ბიზნეს ოპერატორებთან და სხვა.); | |
| ამოცანა 4.4 | ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა; | |
| ამოცანა 4.5 | არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და მისი ხელშეწყობა | |
| | შედეგი 4. | • მოსახლეობა, მათ შორის ახალგაზრდები დაინტერესებულები არიან პროფესიული განათლების მიღებით და ასეთი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ მუნიციპალიტეტში (შემცირდებამიგრაცია);<br>• ბიზნეს სექტორს აქვს მეტი ხელმისაწვდომობა პროფესიონალ და გადამზადებულ კადრებზე;<br>• ადრეული და სკოლამდელი აღზრდის ხარისხი გაუმჯობესებულია;<br>• ხელმისაწვდომია არაფორმალური განათლება. |
| **მიზანი 5.** | **ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია** | |
| ამოცანა 5.1 | სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; | |
| ამოცანა 5.2 | ადგილობრივი და საერთაშორისო შეჯიბრებებისა და საწვრთნელი-სავარჯიშო ღონისძიებების შესაბამისი გარემოთი უზრუნველყოფა; | |
| ამოცანა 5.3 | თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კადრების (მწვრთნელები, ინსტრუქტორები) ფადამზადება; | |
| ამოცანა 5.4 | მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია; | |
| | შედეგი 5. | • მუნიციპალიტეტში გაზრდილია სპორტსმენთა ნაკადების შემოდინება, რაც ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის |

| | |
|---|---|
| | შემოსავლებს, ეკონომიკურ აქტივობას მუნიციპალიტეტში;<br>• ადგილობრივი მოსახლეობა ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესს და მის პოპულარიზაციას. |

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. ასევე გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (შშმპ) ადაპტირებული გარემოს შექმნა და მათი ჩართულობა სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

# 2. სიტუაციის ანალიზი

## 2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორია მოიცავს 825 კვ.კმ-ს, საიდანაც ტყის ფართობს დაახლოებით 65% შეადგენს. ტერიტორიის დიდი ნაწილი მთაგორიანია. მუნიციპალიტეტი თბილისიდან დაშორებულია 296 კმ–ით, ხოლო უახლოესი სარკინიგზო კვანძიდან (საჯავახო) – 20 კმ–ით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სამტრედია-ქობულეთი 25 კმ-იანი მონაკვეთი. მუნიციპალიტეტის 3 სოფელი და 1 დაბა შედის მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში, სადაც მოქმედებს მთის კანონი. ეს დასახლებებია: სოფელი ჩხაკაურა, ქვაბღა, ზოტი და დაბა ბახმარო.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 18,3 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 17 %-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 9%-ია, ხოლო 91 %, ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 4%-ით. შემცირების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (-4%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 22,1 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 1%-ით და მიაღწია 864 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა მხოლოდ 0.2%-ით (4 609 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 76%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 14%-ია და 2%-იანი ზრდით ხასიათდება (2015- 2018წწ.). სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა 2015 წლიდან 2018 წლამდე 8%-იანი კლება შეინიშნება, 16%-იანი ზრდით ხასიათდება დამამუშავებელი მრეწველობა და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 15% მოდის.

აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის პოტენციალი წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების კუთხით. მაგალითად, ს. ვანის ტერიტორიაზე მოსაპირკეთებელი ქვების რესურსის არსებობა, სანისლიაში სამკურნალო თბილი და ბალნეოლოგიური წყლები, ს. ბუკნარში გოგირდოვანი წყლები, ს. შუაგანახლებაში ლაშეს აბანოების რესურსი, ს. დიდ ვანში სულფიდური ტიპის მინერალური წყლები, ს.ზემოსურებში ნახშირმჟავას ტიპის მინერალური წყლები და სხვა. გამოსაყოფია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორი საკურორტო ზონა: ბახმარო და ნაბეღლავი, სადაც მოიპოვება მინერალური და მტკნარი წყლები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება აღნიშნული რესურსის გამოყენების ხელშეწყობაზე.

## 2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

**სოფლის მეურნეობა.** მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. მოსახლეობა განსაკუთრებით ჩართულია შემდეგ საქმიანობებში: მეხილეობა, მემარცვლეობა (სიმინდის მოყვანა), მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეფუტკრეობა და მეცხოველეობა.

მუნიციპალური მიწის მთლიანი ფართობი 82509 ჰა. აქედან დაახლოებით 21% (17326 ჰა) შეადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. 11847 ჰა გამოიყენება სათიბ-საძოვრად. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების 43% (7458 ჰა) კერძო საკუთრებაა, დანარჩენი (9886 ჰა) კი სახელმწიფო კუთვნილებაა. სახნავი მიწა შეადგენს 2764 ჰა. მრავალწლიან კულტურებს უკავია 4084 ჰა, ხოლო 2532 ჰა ერთწლიანი კულტურებისათვისაა განკუთვნილი.

მუნიციპალიტეტის მდებარეობიდან და რელიეფიდან გამომდინარე არის კარგი რესურსი ხელი შეეწყოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას და კულტურების მეტ მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ მოეწყო დაბაში აგრარული ბაზრის შენობა, რაც ქმნის მეტად სანდო და სანიტარულ-ჰიგიენირად მისაღებ გარემოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაყიდონ ან შეიძინონ პროდუქტი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ნიშის დაკავება შეუძლია მეღვინეობის სექტორში. მართალია დარგში წარმოებული პროდუქტის რაოდენობით ვერ იქნება გამორჩეული, თუმცა აქ არსებული ენდემური ვაზის ჯიშები, მაგალითად ჩხავერი, ჯანი, სხილათობანი, ცოლიკაური, ალადასტური და სხვა, იძლევა შესაძლებლობას იწარმოოს მაღალი ხარისხის და საკუთარი, გამორჩეული ნიშის ღვინო. მუნიციპალიტეტში დღეს 10-მდე მარანია, რომელთა განვითარება და შენარჩუნებაც მნიშვნელოვანია.

მუნიციპალიტეტში მიწის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანას, საიდანაც ვხვდებით როგორც ხეხილოვან კულტურებს, ისე ციტრუსს, ჩაის და ძალიან მცირე რაოდენობით კენკრას. გამორჩევით შეიძლება აღინიშნოს მეთხილეობა, როგორც მეტად წამყვანი მიმართულებები მუნიციპალიტეტში. ასევე, ერთწლოვანი კულტურებიდან - სიმინდი. მთლიან დასახლებებში გარკვეული რაოდენობით იწარმოება კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული. მეცხოველეობას მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა ოჯახური მეურნეობა ეწევა, თუმცა მეტად საკუთარი მოხმარებისთვის ვიდრე ფართო სამომხმარებლო ბაზრებზე სარეალიზაციოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რესურსი იძლევა დარგის უფრო მეტად განვითარების საშუალებას. ასევე, დარგი რომელსაც აქვს განვითარების პოტენციალი, არის მეფუტკრეობა და მეთევზეობა. მუნიციპალიტეტის მდინარეები პერსპექტიულია თევზსაშენი მეურნეობის განვითარებისათვის, სწორი სტრატეგიული მიდგომის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით (სიმღვრივის პრევენცია, წყლის ტემპერატურის კონტროლი) შესაძლებელია მეკალმახეობის განვითარება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება სარეალიზაციო კალმახის მნიშვნელოვანი რაოდენობის წარმოება. ასევე მუნიციპალიტეტში არსებული თაფლოვანი მცენარეების მრავალფეროვნება და მეფუტკრეობის მიმართ მზარდი ინტერესი ამ დარგის განვითარების მაღალ შესაძლებლობებს ქმნის.

დარგში არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხებია აგრონომიული/ვეტერინარული და საკონსულტაციო მომსახურების ნაკლებობა.

მეცხოველეობის განვითარების სტიმული იქნება მუნიციპალიტეტში ვეტერინალური მომსახურეობის და ხელოვნური განაყოფიერები სერვისის შექმნა, რაც ერთის მხრივ მოაგვარებს ვეტერინალურ პრობლემებს, ხოლო მეორეს მხრივ თანდათანობით გააუმჯობესებს პირუტყვის ჯიშურ მონაცემებს და გაზრდის მათ მწარმოებლობას.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე. პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით ხილი) პროდუქტების სახით, როგორც ნედლეული, გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში. მუნიციპალიტეტში არსებული ხეხილი, რომელიც ძირითადად კურკოვან თესლოვანი ჯიშებით შემოიფარგლება, თითქმის არ გამოიყენება. იყიდება მხოლოდ მცირე რაოდენობა, მზადდება ჯემები კომპოტები და საწებლები, დანარჩენი გამოიყენება უმთავრესად პირუტყვის საკვებად.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს. საირიგაციო სისტემა მუნიციპალიტეტში არ არის, თუმცა მისი არსებობა დიდ გავლენას მოახდენთა სოფლის მეურნეობის დარგის მოსავლიანობაზე და მოსახლეობის პროდუქტიულობაზე, რომელიც ჩართულია ამ დარგში.

**არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მრეწველობა.** ჩოხატაურში ძალიან მცირეა მოქმედი საწარმოების რაოდენობა, მათ შორის მნიშვნელოვანი საწარმოებია სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი" (მინერალური წყლის „ნაბეღლავის" ჩამოსასხმელი ქარხანა) და ხილის გადამამუშავებელი საამქრო „ნენა“ (მურაბების, ჯემების, ხილფაფების, წარმოება), ასევე ფუნქციონირებს რამდენიმე ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი კარიერები და გადამამუშავებელი საწარმოები. ძირითადად არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობა შემოიფარგლება საცალო ვაჭრობის ობიექტების, სხვადასხვა სერვისების, საკვები ობიექტებისა და საოჯახო ტიპის სასტუმროების არსებობით.

ასევე მნიშვნელოვანია გურული ერისთავების ციხე და გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი, რომელშიც გაშენებულია ულამაზესი მრავალი ჯიშის იშვიათი მრავალწლოვანი მცენარეებით: სამი საუკუნის მუხა, ფანქრის ხე, კამფეტის ხე, სექვოია გიგანტი, იაპონური მარწყვის ხე, გინკო და მრავალი სხვა წიწვოვნებიდან ფოთლოვნებში გარდამავალი სახეობა. ორკეს ტყე-პარკი სოფ. ზემოხეთში ზღვის დონიდან 800 მ. მდებარეობს.

აღსანიშნავია მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი კურორტები და ასევე ტურისტულად საინტერესო ღირსშესანიშნაობები: (1) ბახმარო, რომელიც ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს, და გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის საუკუნოვანი მარად მწვანე მცენარეებით, შემდეგ კი ულამაზესი ალპური ზონა იწყება. გაეროს განვითარების პროექტის დაფინანსებით აქცენტი კეთდება კურორტის განვითარებაზე, რისთვისაც მოეწყობა საკენპინგე-მოსასვენებელი, სავაჭრო და სანიტარულ - ჰიგიენური ინფრასტრუქტურა ცხრაწყარო-ბახმაროს მონაკვეთებსა და დაბა ბახმაროში შერჩეულ ლოკაციებზე. (2) ნაბეღლავი - გუბაზეულის ხეობის ულამაზესი ბალნეოლოგიური კურორტი, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 470 მეტრის სიმაღლეზე, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივში, მთის სწრაფი და ანკარა მდინარის გუბაზეულის სანაპიროზე. ხასიათდება უნიკალური კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით, ძვირფასი მინერალური სამკურნალო წყლებით. ნაბეღლავის წყალი წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, თირკმელების, ძვალ-სახსრების, კანის, ნერვიული სისტემის დაავადების სამკურნალოდ. დროთა განმავლობაში იზრდება დამსვენებელთა რიცხვი მუნიციპალიტეტში, რაც შეიძლება ითქვას მუზეუმებში აღრიცხვის საფუძველზე და ზოგადი დაკვირვებით. დაბა ბახმაროს კურორტი მასპინძლობს, ვიზიტორებს, როგორც ზაფხულში ასევე ზამთრის სეზონზეც. ვიზიტორთა რიცხვი ზაფხულის პერიოდში დაახლოებით 16,000 ადამიანს შეადგენს, ხოლო ზამთრის სეზონზე - 1,800.

გარდა ნაბეღლავში არსებული წყაროსი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს კიდევ 5 წყარო ( ს.ზოტი (სანისლია), სურები, ბურნათი, ბუკნარი და შუაამაღლება (ლაშეს აზანოდ წოდებული). ამჟამად ამ წყლებით მოსარგებლეთა რაოდენობა ძალიან მცირეა, ძირითადად სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა, რაც წყაროების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ნაკლებობით არის გამოწვეული. ზოგიერთი მათგანის გამოყენება წლების წინ ხდებოდა ბალნეოლოგიური მიზნითაც, (შემორჩენილია ადრე არსებული ინფრასტრუქტურის ნანგრევები). რესურსის ეფექტიანად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას ხუთივე წყაროს პოტენციალი, კერძოდ, მათი მინერალიზაცია და შემადგენლობა, დებეტი, ბალნეოლოგიური და სამკურნალო თვისებები, სასმელად ან სამკურნალო გამოყენების შესაძლებლობა. რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი საინვესტიციო პროგრამების მომზადების რეალური წინაპირობის შექმნას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას (იხ. დანართი 1).

ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და წარმოების ამუშავების შედეგად შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მათ შორის მაღალმთიან სოფლებში (ზოტი, სურები). ამასთანავე მუნიციპალიტეტში გაჩნდება მაღალკვალიფიციური კადრების არსებობის

აუცილებლობა (საკურორტო-სამკურნალო მომსახურება), სამომავლოდ კი შესაძლებელია საკურორტო და სამკურნალო პოტენციალის გამოყენებისათვის ახალი პროექტების შემუშავება, რითად ასეთი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას შეუწყობს მუნიციპალიტეტი ხელს. აღნიშნულ სფეროში ინვესტიციების განხორციელებასთან ერთად გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა ტურისტული ზონების გარშემო.

აღსანიშანვია მუნიციპალიტეტის ჰიდროენერგეტიკული რესურსი რასაც მთის ჩქარი მდინარეები უზრუნველყოფენ. კერძოდ: სოფელ ხევში მცირე ჰესის „ნაბეღლავჰესი" გამოიმუშავებს 2 მგ/ვატ ელექტროენერგიას, სოფელ მეწიეთში „საშუალა ჰესი" გამოიმუშავებს 12,5 მგ/ვატ ენერგიას, ასევე მშენებლობის პროცესშია „ზოტი ჰესი" რომლის სიმძლავრეა 45 მგ/ვატ.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი შესაძლებლობაა გორაბერეჟოულის ტყე-პარკის რეაბილიტაცია. დასრულდა სოფელ გორაბერეჟოულში ერისთავების სასახლის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროცესი. სრულად აღდგა ერისთავების სასახლის მარანი და ყველა სამეურნეო დანიშნულების სივრცე. არსებული წყობით რეაბილიტირდა და კონსერვირებულ იქნა სასახლის გალავანი მისი გარსშემოსავლელებითა და სათოფურებით. სასახლის ეზოში მოეწყო ქვაფენილები, გაიწმინდა არსებული ქვევრები და მწვანე საფარით კეთილმოეწყო ტერიტორია. აღნიშნულ პროექტს მოყვება სასახლის ირგვლივ გაშენებული დენდროლოგიური ბაღის რეაბილიტაცია (იხ. დანართი 2).

მიმდინარე ეტაპზე ტურიზმი ჩოხატაურის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს და ტურისტული პოტენციალი სრულად არ არის რეალიზებული, რისი ძირითადი მიზეზიც არის გზებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის საჭიროება. ამასთან, მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტის რესურსის ცნობადობის გაზრდაზე განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. ამ მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლება ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და გააძლიერებს კომუნიკაციას უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებთან.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროცესში მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ახორციელებს თანადაფინანსებას ისეთი პროექტების, რომლებიც სწავლობს ტურისტულ პოტენციალს, ორიენტირებულია ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნასა და პოპულარიზაციაზე, ადგილობრივი მოსახლეობის იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმებასა და ჩართვაზე ტურისტულ ბიზნესში, რომლებსაც არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა გააჩნიათ შრომის ბაზარზე. არსებობს ასეთი უკვე განხორციელებული პროექტის წარმატებული მაგალითი.

## 2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რამაც მოიცვა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია

და მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოასფალტდა და ბეტონის სანიაღვრე არხები მოეწყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ქუჩებზე, არაერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფლის გზებს, ა/ბეტონის საფარი მოეწყო ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმთან და სოფ. ერკეთის დედათა მონასტერთან მისასვლელ გზებზე, კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა აგრარულ ბაზარს, აშენდა ორი ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა თორმეტ საბავშვო ბაღს. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში ხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბა ჩოხატაურში ახალი კულტურის სახლის მშენებლობის პროექტი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ნაპირდამცავი, გარე განათების, წყლის სისტემის რეაბილიტაციის, სოფლის კულტურის სახლების რეაბილიტაციის და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ირიცხება შიდა სახელმწიფოებრივი გზა - 70 კმ. ადგილობრივი მნიშვნელობის - 372 კმ. აღნიშნული შიდა და საუბნო გზების 50 % მოითხოვს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც უმეტეს წილად გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით. 2020 და შემდგომ წლებში აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოწყობაზე, ასევე აგრარული ბაზრის ტერიტორიის გარშემო გზის მოასფალტებაზე და სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებაზე. ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილია ახალი LED ტიპის გარე განათების მოწყობა. განხორციელდება მასშტაბური პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება დაბაში არსებული ე.წ. ორპირას ღელის რკ/ბეტონის „პერანგში" მოქცევის სამუშაოები და დასასვენებელი სივრცის შექმნა. შედეგად შეიქმნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტად უსაფრთხო და მოსასვენებელი გარემო. ელექტრო ენერგია მიეწოდება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს. გარე განათების ქსელი მოწყობილია დაბა ჩოხატაურის ყველა ქუჩაზე, ნაწილობრივ მოწყობილია გარე განათების ქსელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ინფრასტრუქტურული საჭიროებებიდან აღსანიშნავია ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია. რაც შეეხება წყალზე ხელმისაწვდომობას, დაბისა და სოფლების ნაწილში არის მოწყობილი წყლის სისტემა, თუმცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მაინც სარგებლობს სოფლის წყაროებითა და ინდივიდუალური ჭებით. წყალმომარაგების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც დაახლოებით მოიცავს 35 კმ. ქსელის მოწყობის სამუშაოებს. საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრში, რომელზეც დაერთებულია რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი და სხვადასხვა ობიექტი. საკანალიზაციო არხები და მილები მიერთებულია 4 სხვადასხვა

სეპტიკზე, რომლებიც არის მოძველებული და ვერ უზრუნველყოფს თავის ფუნქციის შესრულებას.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილია უფასო ტრანსპორტით, ასევე მოძრაობს კერძო სამარშრუტო ტრანსპორტი, რომლებიც აკავშირებს სხვადასხვა სოფლებს და ქალაქებს.

დაბის ტერიტორიაზე განთავსებულია ანა კალანდაძის, ნოდარ დუმბაძის და 9 აპრილის სკვერები. მუნიციპალიტეტში არის კრიმანჭულის პარკი, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს ისარგებლოს უფასო WI-FI-ით. 9 აპრილის სკვერს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და აღიჭურვა თანამედროვე ტიპის საბავშვო გასართობი ინვენტარით. შესაბამისად, მოწყობილია ბავშვთა გასართობი ინფრასტრუქტურა. მოსასვენებელი სივრცეების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ქმნიან კარგ დასასვენებელ-თავშეყრის ადგილს მოსახლეობისათვის.

## 2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

**ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი და სამი კლინიკა. ხელმისაწვდომია სამედიცინო მომსახურება სოფლის ექიმის პროგრამით, მუნიციპალიტეტს გააჩნია 19 ამბულატორია სხადასხვა ტერიტორიულ ერთეულში.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ გაიზარდა სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის. შედეგად გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ადამიანი მეტად არის დაცული ჯანრთელობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან, მოიმატა ქირურგიული ოპერაციების რიცხვმა და სამედიცინო მიმართვიანობამ.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს ემსახურება სამი სასწრაფო დახმარების მანქანა, მიმდინარე წელს დაემატა მეოთხე მანქანა სეზონურად დაბა ბახმაროში. პრობლემად რჩება რეანომობილის არ არსებობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. 2017 წლის თებერვალში „მედალფას სამედიცინო ცენტრში" გაიხსნა სამშობიარო განყოფილება. რაც შეეხება მშობიარობათა რაოდენობას, საკმაოდ დაბალია და ძირითადად ასეთ სერვისს იღებენ მუნიციპალიტეტის გარეთ. უმეტეს სოფლებში მოძველებული და სარემონტოა სოფლის ამბულატორიის შენობები, მათი ინფრასტრუქტურა, თუმცა 2019 წელს სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 6 საექიმო ამბულატორიაში. ეფექტურია სასწრაფო სამედიცინო დახარების სამსახურის ფუნქციონირება და მათი როლი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მხრივ. ასევე აღსანიშნავია ახლადაშენებული სასწრაფო დახმარების შენობა და მშენებარე სახანძრო-სამაშველო სამსახურის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს წითელი ჯვარი, რომელიც ახორციელებს სხვადასვა სოციალურ აქტივობებს, სადაც ჩართული არიან როგორც ახალგაზრდა მოხალისეები ასევე ორგანიზაციის ბენეფიციარები.

**სოციალური მომსახურება.** ჯანდაცვის კუთხით ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროგრამა, მრავალწლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, ადგილობრივი ჯანდაცვის პროგრამა ძალიან წარმატებული სოციალური პაკეტია, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტის არაერთ მოქალაქეს გაეწია დახმარება. მიმდინარე წლის სოციალურ პროგრამაში გაზრდილია სოციალური პროგრამის თანხა გასულ წლებში მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე წელს დამატებულია ახალი პროგრამებიც.

ადგილობრივი სოციალური პროგრამების ფარგლებში, ჯანდაცვის კუთხით ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც გულის თანდაყოლილი და ეპილეფსიით დაავადებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მუდმივი მონიტორინგისათვის გათვალისწინებულია დახმარება წლის განმავლობაში 500-600 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახების, შშმ პირების, დედ-მამით ობოლი ბავშვები, ახლაშობილთა და განსაკუთრებული მძიმე ჯანმრთელობის საჭიროების მქონე ოჯახების მატერიალურ დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას. ამასთან, მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ა(ა)იპ განათლების „დღის ცენტრისა“ და საქართველოს წითელი ჯვრის ფუნქციონირებას.

სოციალური ფონიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში დგას მოსახლეობის მიგრაციის პრობლემა. მუნიციპალიტეტში მიგრაციის რამოდენიმე ტიპი გვხვდება: მთიდან ბარში - მაგალითად სოფ. ზოტიდან მასიურად მოედინება მოსახლეობა სოფ. ბუკნარში დღესდღეობით დაახლოებით 30% შეადგენს მიგრირებულთა რიცხვი. აღნიშნული გამოწვეულია კლიმატური და საცხოვრებელი პირობებიდან გამომდინარე. ასევე აღსანიშნავია მოსახლეობის სოფლიდან ქალაქისაკენ და საზღვარგარეთ გადინება. განსაკუთრებით მაღალია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მიგრაცია. ახალგაზრდები საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადადიან დიდ ქალაქებში სწავლის გასაგრძელებლად და მუნიციპალიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ აღარ ბრუნდებიან. ახალგაზრდების მიგრაციის პრობლემას ნაწილობრვ გადაწყვეტს გორაბერეჟოულის პროფ. სასწავლებლების აღდგენა, რომლის სამშენებლო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. პროფ-სასწავლებელი საშუალებას მისცემს ადგილობრივ ახალგაზდებს დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიებს და შემდეგ შეექმნან დასაქმების შესაძლებლობა.

## 2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის მხოლოდ საშუალო და სკოლამდელი, კულტურისა და სპორტის სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

**განათლებაზე ხელმისაწვდომობა.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი ასაკის 634 ბავშვი და 20 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, სახელოვნებო (მუსიკალური, სამხატვრო) სკოლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა ახლად აშენებულ ბაღებში (8 საბავშვო ბაღი) ზოგადი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ახლად აშენებულ და დაბის ტერიტორიაზე არსებული ბაღებია აღჭურვილი ახალი ინვენტარით. თუმცა. ყველა სოფლის მაცხოვრებელს არ აქვს საშუალება ისარგებლოს არსებული საბავშვო ბაღებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 32 სკოლაა, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 2,420 ადამიანს შეადგენს. არაფორმალური განათლების მიღების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მუნიციპალიტეტში არსებული „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“. აღნიშნულ ცენტრში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და სახელოვნებო კურსების შეთავაზება, კერძოდ: კომპიუტერული, ბუღალტრული, მართვის მოწმობის ბილეთების და უცხო ენის სწავლება, ჭრა-კერვა და თექაზე მუშაობა. იგეგმება სხვადასხვა პროფესიული კურსების დამატება.

**კულტურისა და სპორტის სერვისები.** მუნიციპალიტეტში არის 19 ბიბლიოთეკა, ახლად აშენებული კულტურის სახლი, კინო-თეატრი, ხელოვნურ საფარიანი სტადიონი, ბ. პაიჭაძის სახ. ცენტრალური სტადიონი, სასპორტო სკოლა, სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კულტურის ცენტრი და მასში შემავალი ანსამბლები. ასევე, ოთხი მუზეუმი: ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი, ნიკო მარის სახლ-მუზეუმი, მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი. ჩოხატაურის (იხ. დანართი 3).

მუნიციპალიტეტში არ არის საკმარისი სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურა და თითქმის ყველა სკოლა საჭიროებს სპორტული მოედნის მოწყობას.

## 2.6 გარემოს დაცვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსები უხვია. ზედაპირული წყლები წარმოდგენილია მდ. გუბაზოური და მდ. სუფსის აუზით. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ასევე მდიდარია ტყის რესურსებით. ტყის ფონდის საერთო ფართობია 54850 ჰა. ტყის რესურსი წარმოდგენილია სამრეწველო, სუბალპური და დაცული ტყეებით. სატყეო მიწები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ არის.

ბუნებრივი საფრთხეებიდან მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარეთა ნაპირების წარეცხვა და გვალვა. მათგან ყველაზე ხშირია ძლიერი წვიმები, რასაც მოყვება წყალდიდობები. უკანასკნელ ათწლეულში კი ბუნებრივი საფრთხეებიდან მომატებულია წვიმები, წყალდიდობები, მეწყერი და გვალვები, ასევე გაძლიერდა ქარები. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს. ხდება მდინარის ნაპირების წარეცხვა და ზიანდება ჭალისპირა სახნავ-სათესი ფართობები.

მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას არა აქვს ცენტრალიზებული წყალმომარაგება, რის გამოც წყალმომარაგების მეტი წილი მოდის მიწისქვეშა წყლებზე. არსებული წყალმომარაგების ქსელის მდგომარეობა საშუალოა და წყლის დიდ დანაკარგს ადგილი არა აქვს. მუნიციპალიტეტში შესაბამისად აღჭურვილი საკანალიზაციო სისტემა არ არის და ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეებში.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისი ემსახურება მოსახლეობის 75%. მუნიციპალიტეტს გააჩნია ლიცენზირებული ნაგავსაყრელი სოფელ ბუკნარში, ცენტრიდან 8 კმ-ის დაშორებით. შეინიშნება თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელები, რაც გამოწვეულია ნარჩენების უკონტროლო ყრით. ამ კუთხით ერთის მხრივ საჭიროა კონტეინერების რაოდენობის დამატება, რათა მოხდეს სერვისის მოსახლეობის სრული რაოდენობისათვის მიწოდება (სავარაუდოდ საჭიროა დამატებით 150 კონტეინერი). ასევე, სასურველია 2 ერთეული კომპაქტორი მანქანის დამატება. მუნიციპალიტეტში ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობა შეადგენს 5 ერთეულს, აქედან 3 კომპაქტორია, თუმცა დგას რაოდენობის ზრდის საჭიროება. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი იქნება მთლიანი მუნიციპალიტეტის მოცვა ნარჩენების მართვის სერვისით, რაც გააუმჯობესებს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ტურისტულ მიმზიდველობას და საცხოვრებელ გარემოს. ამ პროცესთან ერთად საჭიროა დასუფთავების ღონისძიებების ჩატარებაც, რომელშიც აქტიურად იქნებიან ჩართული ყველა თაობის და პროფესიის წარმომადგენლები. საჭიროა გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩატარდეს სკოლამდელი ასაკიდან.

## 2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერი. მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მათი საჭიროებიდან გამომდინარე მიმართონ თითოეულ მათგანს წერილობითი და პირისპირ შეხვედრის ფორმით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 7,848.2 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც თითქმის 98% არის საკუთარი შემოსავლები, თუმცა

წლის განმავლობაში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების დამატებით გამოყოფა. 2019 წელთან მიმართებაში საკუთარი შემოსავლების ზრდა მოსალოდნელია დაახლოებით 32.5%-ით, შესაბამისად 2020 წელს საპროგნოზოდ 7,663.2 ათას ლარს შეადგენს.

2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 7,908.2 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის 10% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რადგან მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ფინანსები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც ამ ეტაპზე არ არის ასახული ბიუჯეტში და წლის განმავლობაში დაემატება. ამ ეტაპზე, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე ძირითადად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიდან მოდის 2020 წლის ბიუჯეტის 0.5%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 24%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის კუთხით - 8% (მოიცავს მეტწილად მუნიციპალიტეტის საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილ დაფინანსებას).

# 3. SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| • მოწესრიგებული შიდა გზები და სანიაღვრე არხები, ასევე დაბის მასშტაბით მოწესრიგებული წყლის სისტემა, გარე ენერგოეფექტური განათების სისტემა;<br>• მუნიციპალიტეტის სიახლოვე ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ფოთის და ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან და ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან;<br>• ბიზნესისადმი მეგობრულ გარემო;<br>• სოფლის მეურნეობის განვითარებული დარგები (ენდემური ვაზის ჯიშების მევენახეობა, მეთხილეობა, მეჩაიეობა, მესაქონლეობა,მეთევზეობა, მეფუტკრეობა);<br>• მინერალური და სამკურნალო წყლების მდიდარი რესურსი და კომპანია „წყალი მარგებელი“ როგორც მუნიციპალიტეტის მთავარი ბრენდული ნაწარმი;<br>• ჰიდრო რესურსი მცირე ჰესებისათვის (მოქმედი ორი ჰესი)<br>• ცნობილი კურორტები მზარდი ტურიზმის პერსპექტივით და მრავალფეროვანი ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობები<br>• კურორტ ბახმაროს, როგორც ზამთრის კურორტად განვითარების მზარდი პოტენციალი<br>• ტყის რესურსი;<br>• ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა;<br>• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიმრავლე და ინკლუზიური სწავლების დანერგვის კარგი მაჩვენებელი;<br>• მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2018-2022 წლებისათვის; | • ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა (საფინანსო ინსტიტუტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი);<br>• მწირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ეკონომიკაში;<br>• მუნიციპალიტეტის მწირი საბიუჯეტო შემოსავლები და ქონებრივი რესურსი;<br>• ბიზნეს განათლების დაბალი დონე;<br>• სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე;<br>• განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა და არასაკმარისად განვითარებული ტურისტული მომსახურეობა;<br>• პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე და ფერმერთა აგრარული ცოდნის დაბალი დონე;<br>• საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობების არარსებობა, ხელოვნურად დაბინძურებული გარემო და ტყეების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა;<br>• მუნიციპალიტეტში მოქმედი სპორტული კლუბების არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br>• სკოლებში თანამედროვე ლაბორატორიების ნაკლებობა;<br>• სოფლებში სასმელი წყლით მოუწესრიგებელი წყალმომარაგება და ხარისხის სტანდარტებთან შეუსაბამობა;<br>• მიგრაცია - სამუშაო ძალის გადინება; |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|
| • ვაზის ენდემური ჯიშების გამოყენებით მეღვინეობის ფართო განვითარების შესაძლებლობა;<br>• მეფუტკრეობის განვითარება და პროდუქციის ექსპორტირება;<br>• ახალი პროფესიული სასწავლებელის შექმნა;<br>• არსებული მინერალური და მტკნარ წყლების მაღალი საინვესტიციო პოტენციალი;<br>• ჩაის პლანტაციების დეტალური ანალიზი და აღდგენადი პლანტაციების გამოვლენა;<br>• ვეტერინალური მომსახურეობის და ხელოვნური განაყოფიერების ეფექტური სისტემის შექმნა;<br>• სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის პოტენციალი;<br>• ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის აქტუალიზაცია;<br>• ტურისტებში გაზრდილი ცნობადობა კურორტ დაბა ბახმაროსა და მუნიციპალიტეტის სხვა ტურისტული პოტენციალის შესახებ; | • ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი;<br>• ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების გამო არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე;<br>• კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა;<br>• ფლორის სხვადასხვა მავნებელ დაავადებათა გავრცელება;<br>• მიგრაციის მაღალი დონე;<br>• მოსახლეობის ფართომასშტაბიან ჯანმრთელობასთან და ეპიდემიებთან დაკავშირებული მოვლენები; |

# 4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

**გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან** - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

**პარტნიორობა** - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

**კანონიერების პრინციპი** - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით. გარდა სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობებისა სამუშაო ჯგუფებში ასევე დასახელდა ისეთი განსახორციელებელი საკითხები, რომლებიც მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული, თუმცა მიიჩნევა პრიორიტეტულ საკითხებად. ესენია:

ამოცანა 1.4. ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი გამოყენების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

ამოცანა 1.5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების - აღკვეთილის, ნაკრძალის, შექმნის ხელშეწყობა უკვე შექმნილი პონტოს მუხის აღკვეთილის მსგავსად;

ამოცანა 2.3. მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა;

ამოცანა 2.4. სოფლის მეურნეობის კუთხით მოსახლეობის უნარების და კვალიფიკაციის ზრდის სისტემატური ხელშეწყობა;

ამოცანა 2.5. დაბის ცენტრის განვითარების კონცეფციის და გეგმა პროექტის შემუშავება;

ამოცანა 2.6. სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკისა და ინვენტარის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ამოცანა 2.7. წყალმომარაგებიასა და საირიგაციო სისტემების მოწესრიგება;

ამოცანა 2.8. სასათბურე და სანერგე მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა;

ამოცანა 3.2. მუნიციპალიტეტის კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება-გამოყენების ხელშეწყობის მიზნით გამოფენებისა და ფესტივალების მოწყობა, ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ;

ამოცანა 3.3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტიის წარმოების პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება;

ამოცანა 3.4. წარმოების ტრადიციული მეთოდებით ხალხური რეწვის ოსტატთა წახალისება;

ამოცანა 4.3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებების გატარება ახალგაზრდებში (სკოლებში საინფორმაციო და საჩვენებელი გაკვეთილები; გასვლითი ღონისძიებები ბიზნეს ოპერატორებთან და სხვა.);

ამოცანა 4.4. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა;

ამოცანა 4.5. არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და მისი ხელშეწყობა;

ამოცანა 5.2. ადგილობრივი და საერთაშორისო შეჯიბრებებისა და საწვრთნელი-სავარჯიშო ღონისძიებების შესაბამისი გარემოთი უზრუნველყოფა;

ამოცანა 5.3 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კადრების (მწვრთნელები, ინსტრუქტორები) ფადამზადება;

ამოცანა 5.4 მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია;

## 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მიზანი 1:** | მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად ათვისების ხელშეწყობა | | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | | | **1,8,9,11** |
| **ამოცანა 1.1** | დაბა ბახმაროს, როგორც საკურორტო რეკრიაციული ზონის, კერძო სექტორის შესაძლებლობებისა და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა; | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1** | ტურისტების გაზრდილი რაოდენობა და მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები, კურორტის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და ცნობადობა გაზრდილია. | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** |
| | | | | **შუალედური** | **საბოლოო** | |
| | | **წელი** | **2020** | **2022** | **2023** | |
| | | | | | | |

| **აქტივობა** | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი [₾]** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | | **სხვა** | | **დეფიციტი** |
| | | | | | | | | | **ოდენობა [₾]** | **კოდი** | **ოდენობა [₾]** | **ორგანიზაცია** | |
| 1.1.1 | საკურორტო-მოსასვენებელი, სავაჭრო და სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის | 1.1.1.1 | მოწყობილია საკურორტო-მოსასვენებელი, სავაჭრო და სანიტარულ-ჰიგიენური | | მერია | | 2020 | 70,000 | | 05 03 | | UNDP<br>მერია | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოწყობა | | ინფრასტრუქტურა | | | | | | | | | | |
| **ამოცანა 1.2** | | გორაბერეჟოულის დენდროლოგიური ტყე-პარკის ტურისტული პოტენციალის ათვისება | | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2** | | პარკში ტურისტების გაზრდილი რაოდენობა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და გაზრდილი ცნობადობა | | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | | **დადასტურების წყარო** | | | | |
| | | | | | | **შუალედური** | | **საბოლოო** | | | | | |
| | | | | **წელი** | **2020** | **2022** | | **2023** | | | | | |
| **აქტივობა** | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი [₾]** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა [₾] | კოდი | ოდენობა [₾] | ორგანიზაცია | |
| 1.2.1 | გორაბერეჟოულის დენდროლოგიური ტყე-პარკის რეაბილიტაცია | 1.2.1.1 | რეაბილიტირებული დენდროლოგიური ტყე-პარკი | | ფონდი ქართუ | | 2020-2021 | 400,000 | | | 400,000 | ფონდი ქართუ | |
| | დენდროლოგიურ პარკთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | | მოწყობილი 1700 გ.მ. ა/ბეტონის საფარი | | მერია | | | 382000 | | 02 01 02 | | რეგ-ფონდი | |
| **ამოცანა 1.3** | | ტურისტული-დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა | | | | | | | | | | | |

| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3 | გაუმჯობესებულია ტურისტული-დასასვენებელი ინფრასტრუქტურა, შექმნილია ტურისტებისა და მოსახლეობისათვის მეტად კომფორტული გარემო | | საბაზისო | სამიზნე | | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შუალედური | საბოლოო | |
| | | წელი | 2020 | 2022 | 2023 | |
| | | | | | | |

| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი [₾] | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა [₾] | კოდი | ოდენობა [₾] | ორგანიზაცია | |
| 1.3.1 | მდინარე ორპირას რკინა-ბეტონის კალაპოტში მოქცევა და რეკრეაციული ზონის შექმნა | 1.3.1.1 | რეაბილიტირებულია 1000 გ.მ მდინარის კალაპოტი და მოწყობილია 5000 მ.კვ. რეკრიაციული ზონა | | მერია | | 2020-2021 | 1661208 | | 02 03 01 | | | |
| 1.3.2 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების - აღკვეთილის, ნაკრძალის შექმნის ხელშეწყობა უკვე შექმნილი პონტოს | 1.3.2.1 | პოტენციურ ტერიტორიაზე შექმნილია დაცული ტერიტორია - ნაკრძალი | | საკრებულო, მერია | | 2020 (2023) | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მუხის აღკვეთილის მსგავსად. | | | | | | | | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიზანი 2:** | სოფლის მეურნეობის განვითარება, ადგილობრივი ბიზნესისა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | **1,8,9,10,11,12,** |
| **ამოცანა 2.1** | სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება | | |

| | | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **შუალედური** | **საბოლოო** | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1** | გაზრდილია დარგის პროდუქტიულობა და მოსახლეობის შემოსავლები | **წელი** | **2020** | **2022** | **2023** | |
| | | | | | | |

| **აქტივობა** | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი [□}** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა [□} | კოდი | ოდენობა [□} | ორგანიზაცია | |
| 2.1.1 | ბაზრის მოედნის რეაბილიტაციის (ასფალტობეტონის | 2.1.1 | 9036 კვმ, 1506 გ.მ. ასფალტის საფარი | | მერია | | 2020 | 426718 | | 02 01 02 | | რეგ-ფონდი | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საფარის მოწყობა) სამუშაოები | | | | | | | | | | | | |
| **ამოცანა 2.2** | | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის საგზაო, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის გამართვა | | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.** | | გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, გაზრდილი ხელმისაწვდომობა სასმელ წყალზე. უკეთესი საცხოვრებელი და ბიზნეს გარემო | | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | | **დადასტურების წყარო** | | | | |
| | | | | | | **შუალედური** | | **საბოლოო** | | | | | |
| | | | | **წელი** | **2020** | **2022** | | **2023** | | | | | |
| **აქტივობა** | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი [₾] | **დაფინანსების წყარო** | | | | |
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა [₾} | კოდი | ოდენობა [₾} | ორგანიზაცია | |
| 2.2.1 | საავტომობილო გზების რეაბილიტაცია | 2.2.1.1 | 1270 გ.მ. ა/ბეტონის საფარი და 1200 გ.მ. მთის ქანი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ერკეთი-კოხი-ონჯიკეთი | | მერია | | 2020 | 331430 | | 02 01 02 | | რეგ-ფონდი | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2.2 | შიდა გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები | 2.2.2.1 | 360 გ.მ. ა/ბეტონის საფარი - ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეული | | მერია | | 2020 | 88,515 | | 02 01 02 | | რეგ-ფონდი | |
| 2.2.3 | საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 2.2.3.1 | 1400 გ.მ. ა/ბეტონის საფარი - სოფელი ზომლეთი. | | მერია | | 2021 | 30,3751 | | 02 01 02 | | რეგ-ფონდი | |
| 2.2.4 | სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები | 2.2.4.1 | სასმელი წყლით ისარგებლებს 170 ოჯახი - სოფელი ახალშენი | | მერია | | 2020 | 339,094 | | 02 03 03 | | რეგ-ფონდი | |
| 2.2.5 | სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები | 2.2.5.1 | სასმელი წყლით ისარგებლებს 300 ოჯახი - სოფელი ზემო ფარცხმა | | მერია | | 2020-2021 | 590,000 | | 02 03 03 | | რეგ-ფონდი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მიზანი 3** | მუნციპალიტეტის კულტურულ-შემოქმედებითი ცნობადობის გაზრდა | | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | | **11** |
| **ამოცანა 3.1** | მოსახლეობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1** | ნარჩუნდება მუნიციპალიტეტის კულტურული მახასიათებლები; ხდება მისი პოპულარიზაცია და მოსახლეოის ჩართვა ღონისძიებებში | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | | | **შუალედური** / **საბოლოო** | |
| | | **წელი** | **2020** | **2022** / **2023** | |
| | | | | | |

| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი [▯} | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დონორი |
| | | | | | | | | | ოდენობა [▯} | კოდი | ოდენობა [▯} | ორგანიზაცია | |
| 3.1.1 | გურული ღვეზელის ფესტივალის მოწყობა; გურული ფოლკლორის (კრიმანჭული) სასწავლო გაკვეთილების ორგანიზება; გურული ღვინის ჯიშების პოპულარიზაციის მიზნით ფესტივალების მოწყობა; ზარდული მუსიკის (ოთარ რამიშვილის სახელობის) ფესტივალის ორგანიზება; არსებულ გალერეაში ხელნაკეთი ნივთებისა და სხვა | 3.1.1.1 | ჩატარებული ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს კულტურის პოპულარიზაციას, მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქტების რეალიზაციას და ტრადიციების შენარჩუნებას | | მერია | | 2020-2021 | 50,000 | 50,000 | 0502 | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გურული ტრადიციული სუვენირების გამოფენების მოწყობა; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტიის წარმოების პოპულარიზაციის მიზნით გამოფება-გაყიდვების ორგანიზება; წარმოების ტრადიციული მეთოდებით ხალხური რეწვის ოსტატთა წახალისება (საჩვენებელი-სასწავლო ღონისძიებების მოწყობა); სხვა ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელეწყობისთვის სავაჭრო სივრცეების მოწყობა | | | | | | | | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიზანი 4** | სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და განათლების დარგის განვითარება | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | **1,2,4,5,11** |
| **ამოცანა 4.1** | სოციალური პროექტების განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1** | მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შენარჩუნება/გაუმჯობესება, საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილი ხელმისაწვდომობა | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** |
| | | | | **შუალედური** | **საბოლოო** | |
| | | **წელი** | **2020** | **2022** | **2023** | |
| | | | | | | |

| **აქტივობა** | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი []** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა [] | კოდი | ოდენობა [] | ორგანიზაცია | |
| 4.1.1 | N2 საბავშო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია | 4.1.1 | რეაბილიტირებული #2 საბავშვო ბაღის 2 ოთახი - ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეული | | მერია | | 2020 | 50,000 | | 0401 | | რეგ-ფონდი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 4.2** | პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის ზრდა | | | | | |
| **ამოცანის შედეგის** | პროფესიულ განათლებაზე | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** |
| | | | | **შუალედური** | **საბოლოო** | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წელი | 2020 | 2022 | | 2023 | | | | | |
| აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი [□] | დაფინანსების წყარო | | | | |
| | | | | | | | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | ოდენობა [□] | კოდი | ოდენობა [□] | ორგანიზაცია | |
| 4.2.1 პროფესიული სასწავლებლის გახსნა | 4.2.1.1 აშენებულია ორი პრფესიული სასწავლო კორპუსი | | საკრებულო | | 2020 | 1,955636 | | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიზანი 5** | ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | **5,11** |
| **ამოცანა 5.1** | სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა | | |

| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1 | | გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა | | | საბაზისო | სამიზნე | | | დადასტურების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | შუალედური | | საბოლოო | | | | | |
| | | | | წელი | 2020 | 2022 | | 2023 | | | | | |
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი [₾] | დაფინანსების წყარო | | | | |
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა [₾] | კოდი | ოდენობა [₾] | ორგანიზაცია | |
| 5.1.1. | სპორტდარბაზის რეაბილიტაცია | 5.1.1.1 | რეაბილიტირებული სპორტული დარბაზი, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობა | | მერია | | 2020 | 100,000 | | 0501 | | რეგ-ფონდი | |
| 5.1.2 | ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები | 5.1.2.1 | რეაბილიტირებული ფეხბურთის მოედანი - ს. ხიდისთავი | | მერია | | 2020 | 159193 | | 0501 | | რეგ-ფონდი | |
| 5.1.3 | სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები | 5.1.3.1 | რეაბილიტირებული ფეხბურთის მოედანი - ს.ხიდისთავი | | მერია | | 2020 | 105277 | | 0501 | | რეგ-ფონდი | |

# 5. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

**დროულობა** - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

**ფოკუსირებული** - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

**მკითხველზე ორიენტირებული** - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

**რელევანტური** - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.

შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის;

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

# დანართი

**დანართი N1.** მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსები

სოფელ დიდი ვანის ტერიტორიაზე არსებობს მოსაპირკეთებელი ქვების საბადოს ბაზა, რომელიც აწარმოებდა სამშენებლო მოსაპირკეთებელ ფილებს. შუაგანახლებაში არის ლაშეს აბანოები, ნაბეღლავში არის მინერალური წყლის ტიპი (ნაბეღლავი ) და მტკნარი წყალი ბახმარო. დიდი ვანი- სულფიდური ტიპის მინერალური წყალი; სოფ. ზემოსურები (ნამაინები) - ნახშირმჟავას ტიპის მინერალური წყალი; სოფ. ერკეთი (ჯვრის მთა)- სულფიდური ტიპის მინერალური წყალი.

სოფ. ზოტიდან 15 კმ-ში ზემოთ არის საკუროროტო ადგილი: სანისლია, სადაც ქანებიდან გამოდის სამკურნალო თბილი წყალი. წლების მანძილზე როგორც იქ მაცხოვრებლები ასევე დაბიდან ასული მოსახლეობა სამკურნალოდ იღებდა თბილ აბაზანებს, რომელიც კურნავდა სხვადასხვა დაავადებებს.

ბალნეოთერაპიისა და სამკურნალო ფისკულტურის განყოფილების, ასევე ჰიდრომინერალური რესურსების შემსწავლელი განყოფილების დასკვნის საფუძველზე: თბილი წყლები გამოდის, როგორც ძირითად ქანებში გაჩენილი ნაპრალებიდან, ისე მდინარეული ნაყარი მასალიდან. ტიპიური ანალიზის საფუძველზე სანისლიის წყალი ასპინძისას ემსგავსება, ჩანს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყლის ტიპი და მინერალიზაციაც უცვლელია.

სანისლია, სადაც ფუნქციონირებს აბანო ბალნეოლოგიური წყლებით, რომელიც კურნავს საყრდენ-სამოძრაო ორგანოებისა და პერიფერიულ ნერვული სისტემის ქრონიკული, ანთებითი ხასიათის დაავადებებს. საჭიროა მისი კლინიკური და ექსპერიმენტული შესწავლა. ასევე სოფ. ბუკნარში (მეურნეობა) არის გოგირდოვანი წყალი, რომელიც გამოიყენება კუჭნაწლავის და ალერგიული გამონაყარის დროს. სოფ. შუაგანახლებაში არის ლაშეს აბანოები, რომელიც ფუნქციონირებდა აბაზანების სახით და გამოიყენებოდა რევმატიული-ართრიტისა და სახსრების სმკურნალოდ. აბანოს ესაჭიროება რეაბილიტაცია. სოფ. ნაბეღლავში არის მინერალური წყლის ტიპი (ნაბეღლავი ) და მტკნარი წყალი ბახმარო. სოფ. დიდი ვანი - სულფიდური ტიპის მინერალური წყალი; სოფ. ზემოსურები (ნამაინები) - ნახშირმჟავას ტიპის მინერალური წყალი; სოფ. ერკეთი (ჯვრის მთა)- სულფიდური ტიპის მინერალური წყალი.

**დანართი N 2.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია მონასტრები, ტურისტული ძეგლები და ისტორიული ადგილები (ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება)

ეკლესია-მონასტრები:

1. უდაბნოს მამათა მონასტერი, იოანე ნათლისმცემლის სახ. მე-VI საუკუნის ფრაგმენტი, ანგელოზთა სახ., ოთხი მახარებლის სახელობის- სოფ. შუაგანახლება.
2. ამაღლების სახელობის ტაძარი-სოფ.შუაგანახლებაში.

3. მთავარანგელოზთა დედათა მონასტერი - სოფ. ერკეთი - მე -XII საუკუნე - იგეგმება სოფელ ერკეთის მთავარანგელოზის სახელობის დედათა მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.
4. წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარი - სოფ. ბუკისციხე - 2008 წელი
5. საკათედრო ტაძარი წმ. იოაკიმე და ანას სახ. - ჩოხატაურის ცენტრი - 2009 წელი
6. 40 სებასტიანელი მოწამის სახ. მშენებარე ტაძარი - დაბა ჩოხატაურში (საკათედრო ტაძრის გვერდით)
7. წმ. გრ .ხანძთელის სახ. ეკლესია. დაბა ჩოხატაურში გამგეობასთან.
8. წმ. მეფე მირიანის და ნანა დედოფლის სახ. ტაძარი - სოფ. ამაღლება.
9. სოფ. ამაღლებაშივე მშენებარე მოწამე დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახ. ტაძარი
10. სამების სახ. ტაძარი - სოფ. სამება
11. ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარი - სოფ. ბუკნარი
12. წმ. კვიპრიანე კართაგენელის და ქალწულმოწამე იუსტინეს სახ. ტაძარი - სოფ. გორაბერეჟოული
13. ხარების სახ. ტაძარი - სოფ. ზემოფარცხმა
14. წმ. გიორგის სახ. ტაძარი - სოფ. წიფნარი
15. წმ. ბარბარეს სახ. ტაძარი - სოფ. საჭამიასერი
16. ფერიცვალების სახ. ტაძარი - სოფ. მამულარი(სოფ. საჭამიასერის თემი)
17. წმ. გიორგის სახ. ტაძარი - სოფ. დაბლაციხე
18. წმ. გიორგის სახ. ტაძარი - სოფ. იანეული
19. ჯვარცმის სახ. ტაძარი - სოფ. ვაზიანი(ჩაისუბნის თემი)
20. წმ. გიორგის ტაძარი - სოფ. ხიდისთავი
21. წმ. გიორგის სახ. ტაძარი - საჭამიასერის თემი - სოფ. ჩომეთი
22. შალვა ახალციხელის სახ. ტაძარი - სოფ. ჭაჭიეთი
23. ნიკოლოზის სახ. ტაძარი - სოფ. ხევი
24. წმ. მამამთავართა სახ. მამათა მონასტერი - გორთაფონი(სოფ.მეწიეთის ზემოთ)ხიდისთავის თემი.
25. წმ.გიორგის ეკლესია - თავსურები.
26. წმ.პეტრეს და პავლე მოციქულის სახ.მშენებარე ეკლესია -შუასურები.
27. წმ.გიორგის ხის ეკლესია -შუასურები.

28. წმ.კოზმას და დამიანეს სახელობის ეკლესია- სოფ. ვანი
29. ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე ეკლასია- სოფ. ზომლეთი.
30. მშენებარე ეკლესია-სოფ. ქვენობანი
31. ფერისცვალების ეკლესია-ბახმარო
32. სამლოცველო მდებარეობს: სოფ.მეწიეთში, სოფ.წიფნარში, სოფ.ხევში
33. სოფ. ბურნათი წმ. პეტრესა და პავლეს სახელზე აგებული ეკლესიის აბსიდის ნანგრევები.
34. სოფ. შუბანი - XIX საუკუნის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები

მეჩეთი: ზოტი-ფუნქციონირებს ორი მეჩეთი 1909 და 1992 წლებიდან

ციხეები:

- ერისთავების ციხე - გორაბერეჟოული
- თამარის ციხე - ბუკისციხე; ზენობანი
- ღომის ციხე - ზოტი, საყდრის ყელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მრავალი მარშრუტია შემუშავებული, ამათგან ძალზე საინტერესოა:

- ჩოხატაური - სურები - მეფისწყარო, ჯაჯის ტბა;
- ჩოხატაური - ნაბეღლავი - ბახმარო;
- ჩოხატაური - ხიდისთავი - გორთაფონი - ბახმარო;
- ჩოხატაური - ზოტი - სანისლია;
- ჩოხატაური - შუაგანახლება (უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი);
- გორაბერეჟოულის ტყე-პარკი - ერისთავების ციხე-სიმაგრე - დენდროლოგიური პარკი.

საკურორტო ადგილები: სანისლია, დიდივანი, შუაგანახლება, შუაგორა, ბუკნარი, ორკე.

- ✓ ჩანჩქერები: ნაბეღლავი, ქვაბღა, ჩხაკაურა, ზოტი, დიდივანი, იანეული. ოჩიჩქინას ჩანჩქერი - სოფელ საჭამიასერში და საჩიჩქინა - სოფელ გოგოლესუბანში;
- ✓ მდინარე გუბაზოული - „Sun Set“;
- ✓ გურის ტბა - სოფელი ბუკისციხე;
- ✓ ხიდისთავი - კალაშას ხეობა;
- ✓ სიპები - სოფელი კოხნარი;
- ✓ სოფელი ზემოხეთი - „სადათვიას“ ჩანჩქერი;
- ✓ სოფელი ზემოფარცხმა - „ქვაბული ვანწყარო“;
- ✓ სოფელი შუაფარცხმა - „ჭინკეს ქვა“ - მდინარე ორპირა;
- ✓ ტბა: ჯაჯის ტბა - ზღვის დონიდან 2700 მეტრი;
- ✓ ნაბეღლავი - ქარხანა - მინერალური და მთის წყაროს წყალი ბახმარო;
- ✓ წყლის წისქვილები: დაბლაციხე, იანეული, დიდივანი, ვაზიანი, ზოტი

- ლაშქრობა - ერკეთი, შუასურები, ზემოსურები, ხიდისთავი, ხევი, ნაბეღლავი, ზოტი.
- ლაშქრობა ცხენით- ზოტი, კიდობანა, გრძელი გორი, ბახმარო, ხიდისთავი-გორთაფონი-სათიკნია-ბახმარო, ზემოსურები, შუაგორა-მეფის წყარო-ჯაჯის ტბა
- ჯომარდობა- მდინარე სუფსის და გუბაზეულის ხეობა
- ფრინველებზე დაკვირვება - შუაგანახლება (უდაბნო)
- კარავის დასადგმელი ადგილები- ნაბეღლავი, ბახმარო, შუაგორა, ორკე.
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი- დაბა ჩოხატაური - მერია
- ზურაბ თოფურიძის მარანი - სოფელი დაბლაციხე
- თეიმურაზ შარაშიძის მარანი - სოფელი ბუკისციეხე
- კობიძეების მარანი - სოფელი ქვემო ერკეთი
- გურამი ტყეშელიაძის მარანი - სოფელი გორაბერეჟოული
- გია ჯანზერიძის მარანი - სოფელი გორაბერეჟოული
- გია სიხარულიძის მარანი - სოფელი ბუკისციხე
- ბესიკ მეფარიშვილის მარანი - სოფელი ზემოფარცხმა
- „სკიჯი“-ის სახლი
- ჩირის წარმოება, თაფლის წარმოება, ჩურჩხელის წარმოება, ჩაის წარმოება, მარწყვი, კივი, ციტრუსი, საკალმახე მეურნეობა, რძის პროდუქტების წარმოება
- დაბლაციხე - 200 წლის წინ ლაზი ხელოსნების მიერ აშენებული ლაზური არქიტექტურის ნიმუშებითა და დიდი ლაზური გუმბათით გამორჩეული სახლი. რაფიელ შარაშიძის სახლს 2 საუკუნის ისტორია აქვს.